

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №62
2018 წლის 26 დეკემბერი

ქ. ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება (www.matsne.gov.ge; 04/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.117.016365).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 01 იანვრიდან.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ასლან საგანელიძე

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი თავი I

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი.

დასახელება	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	13323,5	5516,6	7806,9	8050,9	140,0	7910,9
გადასახადები	475,0	0	475,0	7431,4	0	7431,4
გრანტები	12318,1	5516,6	6801,5	140,0	140,0	0
სხვა შემოსავლები	530,4	0	530,4	479,5	0	479,5
ხარჯები	6757,3	143,7	6613,6	7052,9	138,8	6914,1
შრომის ანაზღაურება	1816,8	58,7	1758,1	1835,0	60,0	1775,0
საქონელი და მომსახურება	1106,9	14,7	1092,2	1175,7	14,1	1161,6
პროცენტი	102,6	0	102,6	60,2	0	60,2



სუბსიდიები	2957,6	66.6	2891,0	3233,7	64,1	3169,6
გრანტები	0	0	0			
სოციალური უზრუნველყოფა	522,1	3.7	518,3	556,6	0.6	556,0
სხვა ხარჯები	251,4	0	251,4	191,7	0	191,7
საოპერაციო სალდო	6566,1	5372,8	1193,3	998,0	1,2	996,8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7740,9	5905,5	1835,4	998,0	1,2	996,8
ზრდა	7820,9	5905,5	1915,4	1079,0	1,2	1077,8
კლება	80,0	0	80,0	81,0	0	81,0
მთლიანი სალდო	-1174,8	-532.7	-642,1	0	0	0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1174,8	-532.7	-642,1	0	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	1174,8	532.7	642,1	0	0	0
ზრდა	0	0	0	0	0	0
კლება	1174,8	532.7	642,1	0	0	0
ვალდებულებების ცვლილება				0	0	0
კლება				0	0	0
ბალანსი	0	0	0	0	0	0

მუხლი 2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება.

დასახელება	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	13403,5	5516,6	7886,9	8131.9	140.0	7991.9
შემოსავლები	13323,5	5516,6	7806,9	8050.9	140.0	7910.9
არაფინანსური აქტივების კლება	80.0	0	80.0	81.0	0	81.0
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	0	0
გადასახდელები	0	0	0	0	0	0
ხარჯები	6757,3	143.7	6613,6	7052,9	138,8	6914,1



არაფინანსური აქტივების ზრდა	7820,9	5905,5	1915,4	1079,0	1,2	1077,8
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1174,8	-532,7	-642,1	0	0	0
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	0	0
ფინანსური აქტივების კლება	1174,8	532,7	642,1	0	0	0
ვალდებულებების კლება	0	0	0	0	0	0
ნაშთის ცვლილება	-1174,8	-532,7	-642,1	0	0	0

მუხლი 3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8050.9 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	13323,5	5516,6	7806,9	8050.9	140.0	7910.9
გადასახადები	475.0	0	475.0	7431.4	0	7431.4
გრანტები	12318,1	5516,6	6801.5	140.0	140.0	0
სხვა შემოსავლები	530,4	0	530,4	479.5	0	479.5

მუხლი 4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 7431,4 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	475.0	0	475.0	7431.4	0	7431.4
საშემოსავლო გადასახადი	11111	75.0	0	75.0	0	0	0
დღგ		0	0	0	6931.4	0	6931.4
ქონების გადასახადი	113	400.0	0	400.0	500.0	0	500.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	396.5	0	396.5	488.9	0	488.9



უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	0	0	0	3.0	0	3.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	0	0	0	0	0	0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	0	0	0	0	0	0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	1.5	0	1.5	4.1	0	4.1
ფიზიკური პირებიდან	1131141	0.7	0	0.7	3.5	0	3.5
იურიდიული პირებიდან	1131142	0.8	0	0.8	0.6	0	0.6
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	2.0	0	2.0	4.0	0	4.0
ფიზიკური პირებიდან	1131151	0.8	0	0.8	2.0	0	2.0
იურიდიული პირებიდან	1131152	1.2	0	1.2	2.0	0	2.0

მუხლი 5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 140.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	სულ	2018 წლის გეგმა		2019 წლის გეგმა		
			მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	12318,1	5516,6	6801.5	140.0	140.0	0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	131	0	0	0	0	0	0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	12318,1	5516,6	6801.5	140.0	140.0	0
ბიუჯეტით გათვალისწინებული	1311	6941.5	140.0	6801.5	140.0	140.0	0



ტრანსფერები							
გათანაბრებითი ტრანსფერი		6801.5	0	6801.5	0	0	0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		140.0	140.0	0	140,0	140,0	0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		0	0	0	0	0	0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	5376,6	5376,6	0	0	0	0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		0	0	0	0	0	0

მუხლი 6. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 479,5 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	530,4	0	530,4	479,5	0	479,5
შემოსავლები საკუთრებიდან	141	388,0	0	388,0	349,5	0	349,5
პროცენტები	1411	70,0	0	70,0	70,0	0	70,0
რენტა	1415	318,0	0	318,0	279,5	0	279,5
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	318,0	0	318,0	249,5	0	249,5
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავენობა და სხვა) გადაცემიდან	14154	0	0	0	30,0	0	30,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	52,5	0	52,5	58,0	0	58,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	31,0	0	31,0	31,0	0	31,0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	5,0	0	5,0	5,0	0	5,0
ადგილობრივი მოსაკრებელი							



დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	142214	26,0	0	26,0	26,0	0	26,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	21,5	0	21,5	27,0	0	27,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	21,5	0	21,5	27,0	0	27,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	75,9	0	75,9	37,00	0	37,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	14,0	0	14,0	35,0	0	35,0

მუხლი 7. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7052,9 ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6757,3	143,7	6613,6	7052,9	138,8	6914,1
შრომის ანაზღაურება	1816,8	58,7	1758,1	1835,0	60,0	1775,0
საქონელი და მომსახურება	1106,9	14,7	1092,2	1175,7	14,1	1161,6
პროცენტი	102,6	0	102,6	60,2	0	60,2
სუბსიდიები	2957,6	66,6	2891,0	3233,7	64,1	3169,6
გრანტები	0	0	0	0	0	0
სოციალური ზრუნველყოფა	522,1	3,7	518,3	556,6	0,6	556,0
სხვა ხარჯები	251,4	0	251,4	191,7	0	191,7

მუხლი 8. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 998,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2018 წლის გეგმა		2019 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის



	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7740,9	5905,5	1835,4	998,0	1,2	996,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	7820,9	5905,5	1915,4	1079,0	1,2	1077,8
არაფინანსური აქტივების კლება	80,0	0	80,0	81,0	0	81,0

მუხლი 9. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2347,7	0	2347,7	2573,6	0	2573,6
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2347,7	0	2347,7	2476,1	0	2476,1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2332,6	0	2332,6	2439,0	0	2439,0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	15,1	0	15,1	37,1	0	37,1
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0	0	0	97,5	0	97,5
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0	0	0	0	0	0
702	თავდაცვა	77,1	77,1	0	74,7	74,7	0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	0	0	0	0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0	0	0	0	0	0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0	0	0	0	0	0



704	ეკონომიკური საქმიანობა	5591,3	3906,2	1685,1	763,1	0	763,1
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მონადირეობა	886,5	854,7	31,8	0	0	0
7045	ტრანსპორტი	2231,9	1204,6	1027,3	563,1	0	563,1
70451	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2037,9	1204,6	833,3	332,1	0	332,1
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	194,0	0	194,0	231,0	0	231,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2472,9	1846,9	626,0	200,0	0	200,0
705	გარემოს დაცვა	3076,5	1981,7	1094,8	912,5	0	912,5
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1245,3	434,0	811,3	665,1	0	665,1
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	1831,2	1547,7	283,6	247,4	0	247,4
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	583,8	17,7	566,1	630,0	0	630,0
7063	წყალმომარაგება	18,6	0	18,6	0	0	0
7064	გარე განათება	217,4	0	217,4	220,0	0	220,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	347,7	17,7	330,0	410,0	0	410,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	315,1	66,6	248,5	288,3	65,3	223,0
7072	ამბულატორიული მომსახურება	248,5	0	248,5	223,0	0	223,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	66,6	66,6	0	65,3	65,3	0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1399,4	0	1399,4	1562,2	0	1562,2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	578,2	0	578,2	623,6	0	623,6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	698,4	0	698,4	840,3	0	840,0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0	0	0	0	0	0
7084	რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობა	122,8	0	122,8	98,3	0	98,3
709	განათლება	922,4	0	922,4	974,5	0	974,5
7091	სკოლამდელი აღზრდა	798,0	0	798,0	845,7	0	845,7
7092	ზოგადი განათლება	124,4	0	124,4	128,8	0	128,8



710	სოციალური დაცვა	265,0	0	265,0	353,0	0	353,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	12,0	0	12,0	97,0	0	97,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	16,5	0	16,5	11,0	0	11,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	103,0	0	103,0	113,0	0	113,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	40,0	0	40,0	40,0	0	40,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	93,5	0	93,5	92,0	0	92,0
	სულ	14578,3	6049,3	8529,0	8131,9	140,0	7991,9

მუხლი 10. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული სარეზერვო ფონდი 37,1 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 140,0 ათასი ლარი. მათ შორის:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 65,3 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 74.7 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019 წლისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები



მუხლი 16. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

1. წარმომადგენლობითი და დმასრულებელი ორგანოები (პროგრამული კოდი 01 00)

პრიორიტეტის მიზანია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა. პრიორიტეტი მოიცავს ისეთ პროგრამებს და ქვეპროგრამებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, ჯილდო, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, ვალების დაფარვის ხარჯებს. მმართველობითი სფეროს რეფორმა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ასევე იგეგმება გარკვეული რეფორმები, რომელიც განხორციელდება რამოდენიმე მიმართულებით: 1. ახალი სტრუქტურის, დებულებებისა და სამუშაოთა აღწერილობის შექმნა; 2. მმართველობითი გუნდის მუშაობის შეფასების შიდა და გარე სისტემების შექმნა; 3. მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისას მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნა; 4. საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება; 5. ქონების მართვის სისტემის გაუმჯობესება; 6. მიმდინარე პროცესების მართვა და სხვა.

2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება.

2.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და შემდგომი გაუმჯობესება, რაც პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების, გარე განათების, წყლის სისტემების და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარებას.

3.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, ტრანსპორტის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის მიზანი: საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება

პროგრამის აღწერა: 2019 წელს დაგეგმილია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სასოფლო და შიდა საუბნო გზების მოვლა-შენახვის, საყრდენი კედლების, ბოგირების და სანიაღვრეების მოწყობის, თოვლწმენდის, სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების ღონისძიებების დაფინანსება.

3.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვასა და მის ექსპლოატაციასთან და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საკანალიზაციო სისტემის და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია - მოწყობა. კეთილმოეწყობა და მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა. აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს შემდეგი ქვეპროგრამები:

3.2.1. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 01);

მოხდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გარე-განათების ელექტროენერჯის ღირებულების დაფინანსება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა - რეაბილიტაციის სამუშაოები.



3.2.2. დასუფთავების ღონისძიებების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 02);

ქვეპროგრამა მოიცავს დასუფთავების მანქანების მოვლა-შენახვისათვის, მაწანწალა ძაღლების თავმესაფარში გადაყვანისა და ნაგვის პატარა ბუნკერების შექმნის ღონისძიებებს.

3.3.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 03);

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში განთავსებული საზოგადოებრივი სივრცეების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის, სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების დაფინანსება.

3.2.4. სანიაღვრე არხების და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 04) ;

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება რეგიონალური ფონდის მიერ დაფინანსებული ქალაქის კანალიზაციის ქსელის მეორე რიგის და სხვა სამუშაოების თანადაფინანსება.

3.2.5. წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 05) ;

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლების წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები, გადაიხდება მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება, შექმნილი იქნება ტრაქტორი.

3.2.6. პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 03 05);

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ტექნიკური ზედამხედველობის და საპროექტო სამუშაოების დაფინანსება.

3.3. ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური (პროგრამული კოდი 03 07);

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების გატანის, ხეების მოჭრის, სანიაღვრე არხების გაწმენდის, ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლების, დასუფთავებასთან დაკავშირებული მოსაკრებლების ამოღების, ჯარიმების ადმინისტრირების, სასაფლაოების მოვლა-შენახვის, გამწვანების, გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციისა და მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

3.4. ა(ა)იპ მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი (პროგრამული კოდი 03 06);

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყალსადენების მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

3.5. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03);

პროგრამის მიზანი: სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და სხვა სამუშაოების წარმოება. პროგრამას ახორციელებს

3.5.1. სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 01);

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო



სტანდარტების დანერგვა, რათა მყარი საფუძველი აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად მომზადებისთვის. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. ეროვნულ დონეზე შექმნილი სკოლამდელი განათლების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტში განვითარების მიმდინარეობის შესაფასებლად. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახალი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება.

აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

4.1. ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება (პროგრამული კოდი 04 01);

პროგრამის მიზანი: სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა

პროგრამის აღწერა: პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა, სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

4.2. ა(ა)იპ ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 04 02);

მოსწავლე-ახალგაზრდების ზოგადი განათლების გაღრმავების მიზნით დაფინანსებულია სკოლისგარეშე აღმზრდელობითი ღონისძიების პროგრამა. პროგრამაში ჩართულია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები. პროგრამაში გათვალისწინებულია, მოსწავლეთა მოთხოვნის შესაბამისად სასწავლო, კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები.

5. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 00);

სპორტის, ახალგაზრობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც შესაბამისი სამსახურის, ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

5.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01);

პროგრამის მიზანი: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება - პოპულარიზაცია, საქართველოს ნაკრების, ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულ ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული



შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების აღდგენა, მშენებლობა. მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობა.

პროგრამა ასევე მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაზე, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე ნაკრები გუნდების წევრთა მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას. სპორტის სხვადასხვა სახეობებში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება და სპორტსმენთა მივლინებას საერთაშორისო ტურნირებზე; ქართული საბრძოლო ხელოვნების ხელშეწყობას; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციაზე და ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობას. მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისებას, ადგილობრივი ფედერაციების საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფას. მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით იგეგმება სხვადასხვა სახეობებში სპორტული კლუბების ხელშეწყობა და განვითარება საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზებზე და სხვა. პროგრამას ახორციელებს:

5.1.1. ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01);

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტულ სახეობათა სწავლების, სპორტსმენების საშეჯიბრო მივლინების ხარჯების, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისა და შეჯიბრებების დაფინანსება, შეძენილი იქნება სპორტული ინვენტარი.

5.1.2. ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი (პროგრამული კოდი 05 01 02);

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ჭიდაობის განვითარების დაფინანსება, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია ადგილობრივ და გასვლითი ღონისძიებებში მონაწილეობა.

5.1.3. ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ცურვის განვითარების დაფინანსება,

5.1.4. ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ რაჭა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარების დაფინანსება, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია ადგილობრივ და გასვლითი ღონისძიებებში მონაწილეობა.

5.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება

პროგრამის აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს: სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური შენარჩუნება, რათა სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემო შეიქმნას, როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც. ხელოვნების ღირსეულად წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას, დამეგობრებულ მუნიციპალიტეტებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებას, თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობას, საგამომცემლო საქმიანობისა და კულტურულ საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობას, სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას, როგორც: თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო თუ ლიტერატურა, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვნების ჩართულობა, კულტურის



სტრატეგიის დოკუმენტის მომზადება და სხვა.

პროგრამის განმახორციელებელია:

5.2.1. ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01);

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურული ღონისძიებები კერძოდ: სადღესასწაულო, გასართობი და სანახაობითი. დაფინანსდება კულტურის სახლთან არსებული თეატრი და ანსამბლები, ბიბლიოთეკები, სახვითი ხელოვნების მუზეუმი;

5.2.2. ა(ა)იპ ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 02);

გაგრძელდება ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლების ხელშეწყობა. ადგილობრივ და სხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა და მასში ახალგაზრდების ჩართვა.

5.2.3. ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საადმინისტრაციო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 03);

გაგრძელდება ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილ კულტურულ ღონისძიებების ფარგლებში და საქართველოს მასშტაბით გამართულ გამოფენებში მონაწილეობა და სხვა

5.2.4. გაზეთის მომსახურების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04);

ქვეპროგრამის ფარგლებში კვლავ გაგრძელდება საგამომცემლო მომსახურების შესყიდვა, მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და მოსახლეობისათვის აქტუალური ინფორმაციების გასაშუქებლად.

5.2.5. ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 05);

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისა და რეგიონში არსებული კულტურულ-ისტორიული და ბუნებრივ ძეგლთა პოპულარიზაცია, ტურისტების მოზიდვა, ადგილობრივი ტურიზმის განვითარება, შიდა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება.

5.3. ახალგაზრდული და საზოგადოებრივი ღონისძიებების დაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის მიზანი: ახალგაზრდა თაობის მეტი ჩართულობა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

პროგრამის აღწერა: პროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების ღირსეულად წარმოჩენას, მათ ხელშეწყობას და მათი პროექტების მეშვეობით კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ღვაწლმოსილი ხელოვნების სათანადოდ დაფასებასა და მათი შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას, სახელმწიფო და სახალხო სადღესასწაულო ღონისძიებების აღნიშვნას ტრადიციების შენარჩუნების გათვალისწინებით და მოსახლეობისა და ტურისტებისათვის სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემოს შექმნას, რაც დღესასწაულების ფარგლებში სხვადასხვა ჟანრის ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი. პროგრამის განმახორციელებელია ქვეპროგრამები და ღონისძიებები: ახალგაზრდული ღონისძიებათა დაფინანსების, საპატო მოქალაქის წოდების მინიჭების, წოდებების და ჯილდოების მინიჭების შესახებ განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ბანაკში დასვენების მუნიციპალური და „უანგარო მზრუნველის“ წოდების მინიჭების შესახებ. პროგრამას ახორციელებს შემდეგი ქვეპროგრამები:

5.3.1. კულტურის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 01);

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების ღირსეულად წარმოჩენის მიზნით, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ღვაწლმოსილი ხელოვნების სათანადოდ დაფასებასა და მათი შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას, სახელმწიფო და სახალხო სადღესასწაულო ღონისძიებების აღნიშვნას ტრადიციების შენარჩუნების გათვალისწინებით და მოსახლეობისა და ტურისტებისათვის სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემოს შექმნას.



5.3.2. ახალგაზრდული ღონისძიებათა დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03 02);

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, გასართობი, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას, რაც გაზრდის სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩართულობას. იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში. იგი ასევე გულისხმობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქ. ამბროლაურში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობას.

5.3.3. საპატო მოქალაქის წოდების მინიჭება (პროგრამული კოდი 05 03 03);

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ, მინიჭებს „ამბროლაურის საპატო მოქალაქის“ წოდებას არაუმეტეს 5 ადამიანს. პიროვნებას, რომელიც მიიღებს „ამბროლაურის საპატო მოქალაქის“ წოდებას, გადაეცემა სიგელი და ჯილდო.

5.3.4. წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების ღონისძიებები განათლების სფეროში (პროგრამული კოდი 05 03 04);

ქვეპროგრამის ფარგლებში განათლების სფეროს წარმომადგენლებს მიენიჭებათ საპატო წოდებები და გადაეცემათ ფულადი ჯილდოები, ასევე სოციალურად დაუცველ სტუდენტებს (პირველ კურსელებს) დაუფინანსდებათ უმაღლესი განათლების მიღება.

5.3.5. წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების ღონისძიებები კულტურისა და სპორტის სფეროში (პროგრამული კოდი 05 03 05);

ქვეპროგრამის ფარგლებში კულტურისა და სპორტის სფეროს წარმომადგენლებს მიენიჭებათ წოდებები, გადაეცემათ სიგელები და ფულადი ჯილდოები.

5.3.6. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ბანაკში დასვენების მუნიციპალური პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03 06);

ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სტიმულირება, ხელშეწყობა და მათი ადაპტირება საზოგადოებაში. მათ მიეცემათ საშუალება გამოავლინონ საკუთარი ნიჭი, შესაძლებლობები, შეხედულებები ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ და იყვნენ მეტად ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჩამოყალიბდნენ აქტიურ მოქალაქეებად და გამოიჩინონ ინიციატივა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პროცესში, რადგან ახალგაზრდობაა ის ძალა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს და უზრუნველყოფს მის განვითარებას.

5.3.7. „უანგარო მზრუნველის“ წოდების მინიჭება (პროგრამული კოდი 05 03 07);

